პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 168 (19609) ◆ სამშაბათი, 22 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ალოობა შირაქში

ფითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაჩალებულია მკა.

სურათებზე: კოლმეურნეობის თავკაცი ნუგზარ ყოჩიაშვილი ორმოცდაათი კილომეტრის რადიუსით მომუშავე ოპერატიული კავშირის წყალობით ხელმძღვანელობს სამუშაოებს; იღებენ ზორბალს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

(მასალა იხილეთ მე-2 გვერდზე).

დავაჩქაროთ ეკონომიკის განვითარება

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის დროს 1986 წლის პირველ ნახევარში სახალხო მეურნეობაში ხდებოდა დადებითი ძვრები: გაუმჯობესდა საგეგმო დავალებათა შესრულება, დაჩქარდა საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ტემპი, მაღლდებოდა ხალხის კეთილდღეობის დონე.

ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ამ პერიოდში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მონაცემები	1986 წლის I ნახევარი პროცენტობით 1985 წლის I ნახევართან შედარებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	103,7
მრეწველობის პროდუქცია	105,6
ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე	106
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი	110
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთზიდვა (გაგზავნა)	106,1
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბუნვა	106,9
ყველა სახეობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა	104,0
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	105,2
მშენებლობაში	104,9
რკინიგზის ტრანსპორტზე	108,9
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	100,7
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	103,2
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობებში	104
მოსახლეობისადმი მისაქცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან	104,1
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ტვირთბრუნვა	106,8
მათ შორის ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარეშე	107,8
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	107,1
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	106
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა	96

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული **ეროვნული შემოსავალი** 1985 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა თითქმის 10 მილიარდი მანეთით.

მრეწველობის პროდუქცია ამ პერიოდში გადიდდა 22 მილიარდი მანეთით.

ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე გაიზარდა 2,8 მილიარდი მანეთით.

გადიდდა წარმოების ეფექტიანობა, იხვეწებოდა ეკონომიკის დარგების მართვა.

გაიზარდა მრავალი სახეობის მატერიალური რესურსების მომჭირნეობა, გადიდდა მეორეული ნედლეულის გამოყენება.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სამუშაოდ ნახევარწლეულში 117,2 მილიონი შეადგინა.

მიმდინარეობდა სამუშაო ადგილების ატესტაცია. გრძელდებოდა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების იმ პროგრესული ფორმების გავრცელება, რომელთა მიზანია მეურნეობრიობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესება.

ამასთან ერთად მთელმა რიგმა სამინისტროებმა მაის-ივნისში შეაჯერეს წარმოების მატების ტემპი, კერძოდ, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის, მინერალური სასუქების წარმოების, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, სატრანსპორტო მშენებლობის, სამრეწველო მშენებლობის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროებმა. ბევრ საწარმოში ვერ უზრუნველყოფენ რიტმულ მუშაობას, ჯერ კიდევ არ იგრძნობა სათანადო გარდატეხა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 67 მილიარდი მანეთი, მათ შორის ექსპორტმა — 34 მილიარდი მანეთი. მტკიცდება საგარეეკონომიკური კავშირურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, კიდევ უფრო ფართოვდება წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება; ღრმავდება სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია. ვითარდება უშუალო საწარმო კავშირურთიერთობა მოძმე ქვეყნების საწარმოებთან.

I. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

წარმოება სამეცნიერო კვლევა და მუშაობა, რომლებიც უკავშირდება მანქანათმშენებლობის განვითარების დაჩქარებას, კომპლექსური სახალხო-სამეურნეო პროგრამების რეალიზაციას, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციას, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების შექმნა-გამოყენებას. შეიქმნა ახალ თაობათა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შემუშავების დარგშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები. დაიწყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების პრიორიტეტული მიმართულებებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია.

გაიზარდა მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის მასშტაბი. ამ მიზნებს მოხმარდა დაახლოებით 15 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 22 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში; მანქანათმშენებელ კომპლექსში ათვისებულია 1,7 მილიარდი მანეთი, ქვანახშირის მრეწველობასა და შავ მეტალურგიაში — 1,9 მილიარდი მანეთი, ანუ, შესაბამისად, 26 და 21 პროცენტით მეტი. სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროებმა შეამცირეს მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობა.

ხორციელდებოდა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებანი.

მრეწველობაში დადგმულია 4 ათასამდე მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი. კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 2 ათასზე მეტი უბანი, საამქრო, წარმოება, შეიქმნა ტექნოლოგიური პროცესების მართვის 22 ავტომატიზებული სისტემა.

ათვისებულია 1,5 ათასი ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება და დაიწყო მისი გამოშვება.

მანქანათმშენებელი კომპლექსის საწარმოებში მატულობდა პროგრესული სახეობათა მოწყობილობის: რიცხვული პროგრამული მართვის ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის, დამმუშავებელი ცენტრების, როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზების, სამრეწველო რობოტების, მოქნილი საწარმო მოდულების, 5-დან 12,5 ტონამდე ტვირთამწეობის შემსუბუქებული კონსტრუქციის ელექტრული ხიდური. ამწეების, 16 ტონა ტვირთამწეობის ჰიდრავლიკური ამძრავის მქონე საავტომობილო ამწეების წარმოება. დაიწყო ახალი ეკონომიური სამშენებლო ტექნიკის, რობოტიზებული საამქრო-სატრანსპორტო მოწყობილობის წარმოება.

მაგრამ პროგრესული დიდეფექტიანი პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმის დავალებანი სრული მოცულობით ვერ სრულდება. დაგეგმილზე ნაკლები გამოდის ახალ სერიათა მუდმივი დენის მანქანები, ახალი ტიპის აკუმულატორები, 1,6 და 0,65 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვიანი ჰიდრავლიკური ამძრავის მქონე ცალიცხვიანი ექსკავატორები, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობისათვის საჭირო ცალკეულ სახეობათა მოწყობილობა.

გაიზარდა ისეთი **ეფექტიანი საკონსტრუქციო მასალებისა და ქიმიური პროდუქტების** გამოშვება, როგორიცაა ხარისხოვანი ცხლად დაყალიბებული ფოლადი, გამამტკიცებელი თერმული დამუშავების ნაგლინი, მცირედლეგირებული ფოლადის ნაგლინი და სხვა ეკონომიური სახეობათა ლითონპროდუქცია, თერმოპლასტები, სინთეზური ბოჭკო და ძაფი, რადიალური კონსტრუქციის სალტეები.

გაფართოვდა რესურსდამზოგავი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება. პირველად საჭიურ პრაქტიკაში დაინერგა პროგრესული ტექნოლოგიები: სპეციალური ფოლადის განივ-ძვრითი გლინვა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის არსებითს გაუმჯობესებას, დახრახნული არმატურის წარმოება, რომლის გამოყენება მშენებლობაში ზოგავს შრომითს და მატერიალურ რესურსებს.

ეკონომიურ სახეობათა ლითონპროდუქციის გამოშვების მოცულობის გადიდების გზით სახალხო მეურნეობაში დაახლოებით 1,2 მილიონი ტონა ლითონი დაიზოგა. ცალკეულ სახეობათა ქაღალდის მასტეკადობის შემცირებამ შესაძლებელი გახადა ნახევარ მილიონზე მეტი კუბური მეტრი მერქნის ნედლეულის დაზოგვა.

ამასთან ერთად არ შესრულებულა ცალკეულ დიდად ეფექტიან სახეობათა სამრეწველო პროდუქციის და, კერძოდ, ნამზადების უწყვეტი ჩამოსხმის მანქანებისაგან მიღებული ვარგისი სხმული ნამზადების, ზემტიკე საბურღი მილებისა და მთელი რიგი სხვა ლითონპროდუქციის წარმოების დავალებანი. ვერ შესრულდა რეგულირებულ აიროვან გარემოში ხილისა და ბოსტნეულის შესანახად და ჯანმრთელობის დაცვასა და თვეზის მეურნეობაში გამოყენებული ჰაერის ცანგბადით გასამდიდრებლად საჭირო აირგამყოფი მემბრანების გამოშვების გეგმა.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოები ახორციელებდნენ სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის დავალებათა შესრულების ღონისძიებებს. გრძელდებოდა შრეების ნავთობუკუგების გადიდების ახალი მეთოდების გამოყენება, დიდწარმოებლური ტექნიკის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ჭაბურღილების ბურღვის სისწრაფის გადიდებას და მშენებლობის ვადების შემცირებას. ათვისებულია გაზის კონდენსატისა და მსუბუქი ნახშირწყალბადების ფართო ფრაქციის მიღება დღე-ღამეში 5 მილიონი კუბური მეტრი მწარმოებლობის გაზის მომზადების ბლოკურ-კომპლექსურ დანადგარებზე. უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ქვანახშირის ღია წესით მოპოვება, მატულობდა დიდი ერთეული სიმძლავრის ახალ დიდმწარმოებულ სახეობათა სამთოსატრანსპორტო მოწყობილობის გამოყენების მასშტაბი.

ვითარდებოდა **აგროსამრეწველო კომპლექსის** დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კიდევ უფრო გავრცელდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაძღოლის პროგრესული სისტემები და მეთოდები. ინტენსიური ტექნოლოგიებით მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანა 29 მილიონ ჰექტარ ფართობზე, რაც 12 მილიონი ჰექტარით მეტია გასულ წელთან შედარებით. კვების მრეწველობაში ინერგებოდა მოწყობილობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის კომპლექსურ გადამუშავებას უზრუნველყოფს.

რკინიგზის ტრანსპორტზე მატარებლების მოძრაობის სიჩქარისა და სადგურების გადამუშავებელი უნარის გადიდების მიზნით წარმოებდა ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების შექმნა-დანერგვის სამუშაოები. შემუშავდა და გამოცდის გადის მძიმეწონიან მატარებლებში ლოკომოტივების დისტანციური მართვის მოწყობილობანი. დაიწყო სახარისხებელი საგორველის მუშაობის ავტომატიზაციის მიკროპროცესორული სისტემის მუდმივი ექსპლოატაცია. მოეწყო მატარებლების მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემის გამოცდები.

კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვა რკინიგზის ტრანსპორტზე გაიზარდა 11 პროცენტით, საზღვაო ტრანსპორტზე — 9 პროცენტით.

მშენებლობაში ინერგებოდა მოწინავე ტექნოლოგია და სამუშაოთა ორგანიზაციის ეფექტიანი მეთოდები, ხორციელდებოდა მისი შემდგომი ინდუსტრიალიზაციის ღონისძიებები. გადიდდა დიდი ბლოკებით ტექნოლოგიური მოწყობილობის დამონტაჟების მოცულობა და პროგრესული მასალებისა და კონსტრუქციების გამოყენება. მონოლითური რკინაბეტონისაგან კონსტრუქციებისა და ნაგებობების მშენებლობა გაიზარდა 6 პროცენტით.

ამასთან ერთად ბევრმა სამინისტრომ ვერ შეასრულა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმა. საგრძნობლად ჩამორჩნენ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის, მინერალური სასუქების წარმოების, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროები. საკმარისი არ არის მანქანათმშენებლობის პროდუქციის განახლების ტემპი. არის საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების რეზერვები.

ათვისებული მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური დონე ხშირად არ შეესატყვისება საუკეთესო მსოფლიო მიღწევებს. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებები არ შესრულებულა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროების სისტემებში. მთელ რიგ შემთხვევებში სახსტანდარტის ორგანოები კრძალავდნენ უხარისხო პროდუქციის მიწოდებას; 400-ზე მეტი დასახელების პროდუქციის ვადუმქმდა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. არ გაუმჯობესებულა პროდუქციის ხარისხი მსუბუქ მრეწველობაში, განსაკუთრებით სამკერვალო ნაწარმისა და ფეხსაცმლის გამომშვებ საწარმოებში.

II. მრეწველობა

სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 5,6 პროცენტი წლიური გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად.

პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით. გეგმა შესრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და სამრეწველო სამინისტრომ, ნავთობის მრეწველობის სამინისტროს გარდა. გადაკვრებით შესრულდა მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების დავალებანი.

მონაცემები ცალკეული დარგების მიხედვით მოგვყავს ქვემოთ:

მრეწველობის ცალკეული დარგები	წარმოების მოცულობა 1986 წლის I ნახევარში პროცენტობით 1985 წლის I ნახევართან შედარებით
მძიმე მრეწველობა	106
მათ შორის:	
მანქანათმშენებელი კომპლექსი	108
საკონსტრუქციო მასალებისა და ქიმიური პროდუქტების წარმოება	106
მათგან:	
შავი და ფერადი მეტალურგია	105
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	107
ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	107
საშენ მასალათა მრეწველობა	107
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	103
აქედან:	
ელექტროენერგეტიკა	103
სათბობის მრეწველობა	104
მსუბუქი მრეწველობა	103
აგროსამრეწველო კომპლექსის კვების მრეწველობა	105
აქედან:	
გემო-კვების მრეწველობა	103
ხორცისა და რძის მრეწველობა	107
თევზის მრეწველობა	105

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა. გაუმჯობესდა მდგომარეობა ქვანახშირის მრეწველობაში, შავ მეტალურგიაში, ხე-ტყის, ხის დამმუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში. მატულობდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გამოშვება.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 5,2 პროცენტით, ამ გზით მიღებულია წარმოების მატების 93 პროცენტი.

მთლიანად მრეწველობისა და სამინისტროთა უმრავლესობის მიხედვით შრომის ნაყოფიერების ზრდა უსწრებდა საშუალო ხელფასის გადიდებას.

შესრულდა სამრეწველო პროდუქციის **თვითღირებულებისა და მოგების** საგეგმო დავალებანი. დანახარჯები შემცირდა ერთი პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება, წარმოების და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს **სამინისტროების** მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები	1986 წლის I ნახევარი პროცენტობით 1985 წლის I ნახევართან შედარებით: პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმის პროცენტი	წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	101	103	102
ნავთობის მრეწველობის	99,7	102	98
ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	101	103	103
გაზის მრეწველობის	103	109	107
ქვანახშირის მრეწველობის	104	105	105
შავი მეტალურგიის	103	106	106
ფერადი მეტალურგიის	101	104	103
ქიმიური მრეწველობის	101	108	109
მინერალური სასუქების წარმოების	102	111	110
ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის	102	107	107
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	102	107	107
ელექტროტექნიკური მრეწველობის	101	107	109
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის	103	107	107
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მანქანათმშენებლობის	102	108	108
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების	103	110	109
საავტომობილო მრეწველობის	103	106	106
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	103	108	108
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის	104	107	108
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	103	107	106
მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის	101	107	108
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის	102	108	108
საშენ მასალათა მრეწველობის	101	106	106
მსუბუქი მრეწველობის	100,6	103	105
სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი	103	105	105
თევზის მეურნეობის	104	105	105
პურპროდუქტების	103	103	102
სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის	101	111	110

იხვეწება მრეწველობის მართვის სტრუქტურა, მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობს გაერთიანებებისა და საწარმოების მესამედი, რომლებიც პროდუქციის საერთო მოცულობის ნახევარზე მეტს უშვებენ. სამინისტროთა უმრავლესობაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებითა ამაღლდა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დონე.

კიდევ უფრო განვითარდა ყველა **მოკავშირე რესპუბლიკის** მრეწველობა. პროდუქციის რეალიზაციისა და ზრდის ტემპის გეგმის შესრულების შაჩვენებლები (საკავშირო დაქვემდებარების ჩათვლით) შემდეგნაირად ხასიათდება:

მოკავშირე რესპუბლიკები	1986 წლის I ნახევარი პროცენტობით 1985 წლის I ნახევართან შედარებით: პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმის პროცენტი	წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
რსფსრ	102	105,5	105,3
უკრაინის სსრ	102	105,5	105,5
ბელორუსიის სსრ	103	107,4	106,9
უზბეკეთის სსრ	103	107,6	105,6
ყაზახეთის სსრ	102	107,0	105,5
საქართველოს სსრ	102	102,8	102,0
აზერბაიჯანის სსრ	101	104,5	103,7
ლიტვის სსრ	102	104,9	104,6
მოლდავეთის სსრ	104	106,4	105,0
ლატვიის სსრ	102	104,8	104,9
ყირგიზეთის სსრ	103	104,1	102,6
ტაჯიკეთის სსრ	103	101,8	100,1
სომხეთის სსრ	102	105,0	103,0
თურქმენეთის სსრ	102	108,1	105,9
ესტონეთის სსრ	102	103,1	103,7

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ მთლიანად ქვეყანაში შეადგინა:

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება	1986 წლის I ნახევარში წარმოებულია წლის I ნახევრის	1986 წლის I ნახევარი პროცენტობით 1985 წლის I ნახევართან შედარებით
მანქანათმშენებელი კომპლექსი ტურბინები, მილიონი კილოვატი	9,1	105
ტურბინების გენერატორები, მილიონი კილოვატი	7,5	104
ცვლადი დენის ელექტროძრავები, მილიონი კილოვატი	27,6	101
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	1432	111
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვის	612	128
სამკედლო-საწნეხი მანქანები, მილიონი მანეთისა	352	104
სამრეწველო რობოტები, ათასი ცალი	7,2	125
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	2,4	104
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	2,3	116
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთისა	128	110
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	499	106
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	929	105

(დასასრული მე-8 გვ.).

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილეს თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების გეგმის პროექტი, რომელიც შემუშავებულია „1986-1990 წლებში ქალაქ თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გათვალისწინებით. საქალაქო კომიტეტის ბიუროომ აღნიშნა, რომ გეგმის პროექტი ძირითადად შეესაბამება ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების შესახებ პარტიის მოთხოვნებს და მოიწონა იგი, დაადგინა შეიტანოს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მორიგ სესიაზე განსახილველად.

განიხილეს ქალაქ თბილისში კაპიტალური შენებლობის წლის პირველი ნახევრის შედეგები. ბიუროომ აღნიშნა, რომ მთლიანად ქალაქში შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები, გადაჭარბებით შესრულდა საბინაო მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ობიექტებზე დადგენილი დავალებანი და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ძირითადად(ფონდების ამოქმედებაში დაშვებულ ნაკლოვანებებსა და ჩამორჩენას, იმას, რომ, მთლიანად არ არის ათვისებული სახსრები ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობის ობიექტებში, ქალაქის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე.

განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია ქალაქის სანიტარიული დასუფთავების დარგში. აღინიშნა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, რაისაბჭოების აღმასკომების შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული მუშაობა ვერ უზრუნველყოფს ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას და მდგომარეობა ამ საქმეში კვლავ უაღრესად არადამაკმაყოფილებელია.

არსებულ ობიექტურ სიძნელეებს ამოფარებული ამ სფეროს ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ შესაძლებლობათა გამოყენებას ელემენტარული წესრიგის დამყარების მიზნით, ურიგდებიან მიხდობილი საქმისადმი შემსრულებელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს. ამის შედეგად კვლავ უხეშად ირღვევა სამეურნეო და საოჯახო ნარჩენების გატანის გრაფიკები და ტექნოლოგია, სადეზინფიექციო სამუშაოთა პერიოდულობა. დაბალია მათი განხორციელების ხარისხი, რასაც ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის პრობლემის გამწვავება მოჰყვა, მოსახლეობის სამართლიან საყვედურებს, ზოლო მთელ რიგ შემთხვევებში აღშფოთებას რომ იწვევს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელობამ (გ. გალდავა, კ. გუნკაძე, კ. ანთელავა) ვერ უზრუნველყო შეექმნა არსებული ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, ჯეროვან გავლენას ვერ ახდენს აღნიშნულ სფეროში საქმის მდგომარეობაზე. საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. შუღაროვი, რომელიც ამ სფეროს კურირებს, იცნობს რა ცალკეულ უბნებზე საქმის რეალური ვითარებას და იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის შექმნილ მდგომარეობაში, მწვავედ არ აყენებს ქალაქის შესაბამისი ქვეგანაყოფებისა და რაიონული აღმასკომების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს, პრინციპულად არ აფასებს მათს პოზიციასა და მოქმედებას.

სანიტარიული დასუფთავების მხრივ თავიანთ პირდაპირ მოვალეობებს არ ასრულებენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობისა და კეთილმოწყობის სამმართველოები.

ახლახან დანიშნული ქალაქის სანეიდსადგურის მთავარი ექიმი დ. გაგუა ჯერჯერობით ვერ გარკვეულა, თუ რა უნდა ქნას შექმნილი ვითარების შესაცვლელად, რაზეც მიაპყრეს სწორედ მისი ყურადღება.

პროფილაქტიკურ სადეზინფიექციო სადგურისა (ე. მაისურაძე) და სადეზინფიექციო სადგურის (ს. ცინცაძე) სამსახურები შეთანხმებული მოქმედების ნაცვლად თავიანთ უმოქმედობას უწყვეტრივი დაქსაჭურობით ამართლებენ, რის შედეგადაც თითოეული მათგანი იმის გამო, რომ არ განახორციელა სათანადო ღონისძიებანი იმ ქვეგანაყოფების მუშაობის გარდაქმნისათვის, რომელსაც თავად კურირებდა, ფაქტობრივად არ რეგირებდა მოსახლეობის კრიტიკულ შენიშვნებსა და სამართლიან საყვედურებზე, უპრინციპო, შემრიგებლური პოზიცია ეკავა ქალაქის სანიტარიული დასუფთავების დარგში სერიოზული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისადმი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. შუღაროვი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, შესაბამის პარტიულ კომიტეტს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამსახურების პარტორგანიზაციებს დაევალათ განიხილონ მინდობილ უბნებზე წესრიგის დამყარებისათვის თავიანთი პირდაპირი მოვალეობების შესრულებისათვის თანამშრომლების სამსახურებრივი და პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი.

ქალაქის პროკურატურას დაევალა გაერკვეს პროფილაქტიკურ სადეზინფიექციო სადგურისა და სადეზინფიექციო სადგურის საქმიანობაში უხეში დარღვევების შესახებ მიღებულ სიგნალებში.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს დაევალა გაძლიერეს თავისი შესაბამისი ქვეგანაყოფების მუშაობა ქალაქის სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის, უფრო ფართოდ გამოიყენოს ამ დარგში წესრიგის დარღვევებზე ზემოქმედების მათთვის მინიჭებული უფლებები.

ფრტიის რაიკომებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დავალებული აქვთ განიხილონ სანიტარიული წესრიგის დამყარების საკითხებში უხეში დარღვევების, ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის რაიაღმასკომებისა და მათი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა პარტიული და სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხი და შედეგები მოახსენონ საქალაქო კომიტეტს. (საინფორმი)

ალიბა შირაქში

ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ ბუღი ასდის მინდორს, მაგრამ მექანიზატორებს ამგვარი ამინდი ხელს აძლევს. სხვა დროს რომ დილის 10-11 საათამდე ვერ შედიოდნენ ყანაში, ახლა 8 საათზე მკა გაჩაღებული აქვთ კომბაინერებს.

— ყანა რომ გაფიცხდება სამკალად, ჩვენ სიცხეს ვეღარ ვგრძნობთ. ასე მგონია, ვიღაც ჩამძახის „ყურში: დააშურეთ, დააშურეთო!" — გვეუბნება ზემოქედელი კომბაინერი ოსეფ პეტრიაშვილი. ასეა, ალაობა ბრძოლის ველსა ჰგავს... დაადგიანებ, წაადებ! — კარგად არის ნათქვამი. პატარა ავდარი, სინოტივე და უნდა უცადო გამოდარებას.

წლეულს შირაქელებს ჩვეული ალაობა არა აქვთ, მაგრამ, რას იზამენ, რაც არის, სწორედ იმას უნდა გაფრთხილება, დროზე აღება და დაბინავება.

21.300 ჰექტარიდან 17.000 გადაურჩა გვალვასა და უამინდობას. რაც დარჩა, ისიც ნაჯაფარი, ნაწამებია.

— ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერ მარცვალს ვიღებთ, რატომ ორი და სამი ამდენი არ უნდა ყოფილიყო, — გვითხრა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარმა აგრონომმა ჯ. კვანჭილაშვილმა.

გულს არ იტეხენ მემინდვრეები, მექანიზატორები. ალაონიდან გვიან ღამემდე თავს დასტრიალებენ ყანას, კალოსა და კომბაინს. ასზე მეტი კომბაინი დღეში საშუალოდ 800-1000 ჰექტარ ყანას მკის შირაქში, ზილიჩაში, იორსა და ტარიბანაში.

ტრადიციული შეჯიბრია კომბაინერთა შორის. ზემომაჩხაანელი გურამ ქადაგიძე მეწინავეობს. დღეში საშუალოდ ორ ნორმას ასრულებს — 15-16 ჰექტარზე. მკის ყანას, კალოზე 35-40 ტონა მარცვალს გზავნის, ტოლს არ უდებენ მას ოზაანელი აკაკი ჩიკვაიძე, არხილელი გიორგი ამირიძე, საბათლოელი სერგო აივაზიანი.

კოლმეურნეობებს შორისაც პირველი ზემო მაჩხაანისა დაგვიხასელეს. აქ თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებულია. 2.200 ჰექტარიდან უკვე 1.500 ჰექტარზე აქვთ მოსავალი აღებული. საშუალო მოსავლიანობაც ყველაზე უკეთესი — 24 ცენტნერია.

საათის მექანიზმივით აქვს აწყობილი საქმე ჯაფარიძელ უგანრიგო ბრიგადის ბრიგადირს უშანგი ლეკაშვილს. კაცი ვეღარ იცნობს მას, ისეა სიცხისაგან გარუჯული. ხუმრობა ხომ არ არის, მკას თან მისდევს ნამჯის შეგროვება და დაზვინვა, ხვნა, სანაწვეტრალო თესვა. 1.570 ჰექტარიდან მოსავალი აღებულია 1.300 ჰექტარზე. 500 ჰექტარზე მეტი გადახნულია სახაფშვერალოდ, დათესილია სიმინდი, სორგო და სხვა საკვები კულტურები.

ალაობის მონაწილეთა მომსახურება სანიმუშოდ აქვთ აწყობილი ზემოქედელებს, არხილოსყალოელებს. საველე სადილოში განუწყვეტლივ არის ცხელი კერძი და ცივი სასმელი, რაც მთავარია, თავაზიანი მოპყრობა. მექანიზატორებს ემსახურება დღეს სოფლის ყველა მუშაკი — ექიმი თუ ბიბლიოთეკარი, ლექტორი თუ ავიტატორიც, აფდილობრივი რადიო თუ საველე გაზეთი.

სამწუხაროდ, ყველგან ასე არ არის. ამ დღეებში რაიონულმა გაზეთმა „ახალმა შირაქმა" გააკრიტიკა წითელწყაროს ლენინის, ორჯონიკიძის სახელობის, ქვემო ქედის კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციები, სახალხო კონტროლის ჯგუფები, რომლებიც ნაკლებად ირჯებიან, ფორმალურად ეკიდებიან შეჯიბრებას, ვარაუდით ასახელებენ მოწინავეებს, შემდგომშიც მათ აჯილდოებენ არა ფაქტობრივი შედეგების, არამედ საერთო დამსახურების მიხედვით, საერთო შეხედულებისამებრ.

წითელწყაროში ალაობაც და საკვების დაგროვებაც ერთდროულად მიმდინარეობს. სენაჟი კი საკმარისად მოიმარაგეს კოლმეურნეებმა, მაგრამ თივა და ნამჯა გაჭირდა. სულ უხეში ... ვები 85.000 ტონა უნდა დამზადდეს. დამზადებული კი სულ ხეკროზე ცოტათი მეტია. ... ის არის, რომ მცირე მოსავალს ნამჯის გამოსავლიანობაც ნაკლები აქვს და ამიტომ თადარიგიანი მეურნეები ცდილობენ ეს ხარვეზი შეავსონ სანაწვერალო კულტურებით, მზესუმზირას და სხვა სავაზახულო კულტურათა ნარჩენებით, სხვა რეზერვებით.

პარტიის რაიკომთან შექმნილი საკოორდინაციო შტაბი, რომელშიც რაიონის პარტიული, საბჭოთა, კავშირეონო აქტივი, რაიონის თავარი სპეციალისტები არიან გაერთიანებულნი, ყოველდღე ... ანალიზებს მოიკრიბების მიმდინარეობის ალების, საკვების დამზადების შედეგებს, ...

დავაჩქაროთ ეკონომიკის განვითარება

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი

(დასასრული)

ტრაქტორები, მილიონი ცხენის ძალის	27,4	105
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიარდი მანეთისა	2,0	109
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები და მოწყობილობა, მილიარდი მანეთისა	1,4	105
მარცვლის ასაღები კომბაინები, ათასი ცალი	59,1	104
ბამბის ასაღები მანქანები, ათასი ცალი	4,5	97
ექსკავატორები, ათასი ცალი	21,6	99
საკონსტრუქციო მასალებისა და ქიმიური პროდუქტების წარმოება		
ფოლადი, მილიონი ტონა	80,4	106
მავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	55,8	105
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	9,7	103
რკინის მადანი, მილიონი ტონა	123	102
მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), მილიონი ტონა	17,5	108
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები (მოქმედი ნივთიერების მიხედვით 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	172	96
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	13,7	108
კაუსტიკური სოდა, მილიონი ტონა	1,6	108
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, ათასი ტონა	738	107
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, მილიონი ტონა	2,7	109
ავტომობილების, ავტობუსების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების სალტეები, მილიონი ცალი	33,3	102
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარეშე), მილიონი ფესტმეტრი	171	110
ქაღალდი, მილიონი ტონა	3,1	107
აქედან გაზეთისა, მილიარდი კვადრატული მეტრი	17,2	106
ცემენტი, მილიონი ტონა	67,0	105
ასაწყობი რკინაბეტონი, მილიონი კუბური მეტრი	71	107
სამობა-ენერგეტიკული კომპლექსი		
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	805	104
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით), მილიონი ტონა	302	102
გაზი, მილიარდი კუბური მეტრი	339	107
ქვანახშირი, მილიონი ტონა	378	104
სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება		
ყველა სახეობის ქსოვილი, მილიარდი კვადრატული მეტრი	6,2	102
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	13,1	102
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	893	103
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	410	102
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი, მილიარდი მანეთისა	29,4	107
საათი, მილიონი ცალი	34,8	105
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	475	102
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლისა), მილიონი მანეთისა	579	95
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	4,4	105
ტელევიზორები, მილიონი ცალი	4,7	102
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	2,1	106
მაცივრები და საყინავები, მილიონი ცალი	3,0	104
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრისა და მეტი ტევადობის კამერის მქონე მაცივრები	1,8	117
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	2,7	108
მსუბუქი ავტომობილები, ათასი ცალი	659	100,1
მოტოციკლები და მოტოროლერები, ათასი ცალი	578	99,2
ავეჯი, მილიარდი მანეთისა	4,1	106

შესრულდა ლითონსაჭრელი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, სამრეწველო რობოტების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და გამოთვლითი ტექნიკის, ნავთობაპარატურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ექსკავატორების, ფოლადის დნობის, შავი ლითონების მზა ნაგლინის, რკინის მადნის, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, სალტეების, სამასალე მერქნის, ქაღალდის, ასაწყობი რკინაბეტონის წარმოების, გაზისა და ქვანახშირის მოპოვების გეგმა.

გადაჭარბებით შესრულდა ბევრი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 26 მილიონი კვადრატული მეტრი ქსოვილი, 10 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, 3,6 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, 17 ათასი რადიომიმღები მოწყობილობა, 28 ათასი მაცივარი და საყინავი, 92 მილიონი მანეთის ავეჯი და ბევრი სხვა პროდუქცია.

მრეწველობის მუშაობაში იყო ნაკლოვანებები. მთლიანად მრეწველობაში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების გათვალისწინებით შესრულდა 98,9 პროცენტით, გეგმას ხელშეკრულებებისა და განწესების ნომენკლატურით დააკლდა 3,8 მილიარდი მანეთის პროდუქცია, ყოველმა მეოთხე სამრეწველო საწარმომ დაარღვია სახელშეკრულებო დისციპლინა. პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის, მინერალური სასუქების წარმოების, მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამშუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროთა გაერთიანებები და საწარმოები. მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროებში მიუწოდებელი პროდუქციის მოცულობა გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

არ შესრულებულა ცალად დენის ელექტროძრავების, ქიმიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქების წარმოების, ნავთობის მოპოვების, აგრეთვე ფერადი გამოსახულების ტელევიზორების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების გამოშვების გეგმა.

მთელი რიგი გაერთიანებები და საწარმოები კვლავ უშვებდნენ დაბალი ხარისხის სახალხო მოხმარების საქონელს, რომელიც არ სარგებლობს მოსახლეობის მოთხოვნით, და, კერძოდ, მსუბუქი, ქიმიური მრეწველობის, რადიომრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის, კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობისა და სხვა სამინისტროებისა.

ნელა ინერგება მრეწველობაში შრომის ორგანიზაციის ახალი ეფექტიანი ფორმები. მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები და გაერთიანებები ჩამორჩენით ითვისებდნენ ახლად ამოქმედებულ და რეკონსტრუირებულ სიმძლავრეებს, ვერ შეასრულეს მატერიალური რესურსების მომჭირნეობის, თვითღირებულების შემცირების, დაგროვების დავალებანი.

III. აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობაში დაისახა პოზიტიური ძვრები. იხვეწება მართვის ორგანოების საქმიანობა, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური ურთიერთობა.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა ორგანიზებულად განახორციელეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა.

1986 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო კულტურების **ხათესმა ფართობმა** შეადგინა 209,8 მილიონი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურებისამ — 118,1 მილიონი ჰექტარი, გაიზარდა სამარცვლე პარკოსანი კულტურების, ბამბის, სოიოსა და საკვები კულტურების ფართობები. გაფართოვდა ნათესები სარწყავ და დაშრობილ მიწებზე.

ბევრ რაიონში დაიწყო სამარცვლე კულტურების აღება. სულ უფრო ჩქარდება საკვების დამზადების ტემპი. საკვები მიღებულია მეტი, ვიდრე შარშან. ამავე დროს აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის სს რესპუბლიკების მეურნეობებმა შარშანდელზე ნაკლები საკვები დამზადეს.

წარმატებით დამთავრდა პირუტყვის გამოზამთრება.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ხორცისა და კვერცხის წარმოება გაიზარდა 7 პროცენტით, რძისა — 6 პროცენტით. ეს მატება ძირითადად მიღწეულია პირუტყვის ნაყოფიერების გადიდების გზით. ერთი ძროხის საშუალო წველადობა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და სასუქებელი ღორების საშუალო სადღეღამისო წონამატება გაიზარდა 7 პროცენტით.

გაუმჯობესდა სადგამი სულადობის გამოყენება. ხბოების მონაგების გამოსავლიანობა გადიდდა 5 პროცენტით, გოჭისა — 10, ბატკნისა და თიკნისა — 8 პროცენტით. მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის გაწყდომა.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათშორისო საწარმოებში შეადგინა (მილიონი სული):

	1 ივლისისათვის	
	1985 წ.	1986 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	98,3	99,2
მათ შორის: ძროხა	29,8	29,4
ღორი	57,9	60,2
ცხვარი და თხა	139,1	142,8
ფრინველი	790,4	788,1

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა	პირველი ნახევარი 1985 წ.	1986 წ.	1986 წ. პროც. 1985 წ. შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), მილიონი ტონა	9,0	9,6	107,3
რძე, მილიონი ტონა	33,3	35,2	105,7
კვერცხი, მილიარდი ცალი	26,7	28,1	105,3

პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, უზბეკეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების მეურნეობათა გარდა, რომლებმაც ვერ შეასრულეს რძის შესყიდვის გეგმა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გრძელდებოდა შრომის ორგანიზაციის სრულყოფა ბრიგადული იჯარის გამოყენების ბაზაზე, ინერგებოდა სამეურნეო ანგარიში.

აგროსამრეწველო კომპლექსის **კვების დარგების** მუშაკებმა ძირითადად უზრუნველყვეს სასურსათო პროდუქციის გამოშვების დაგეგმილი მოცულობა.

კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ მთლიანად ქვეყანაში შეადგინა:

კვების მრეწველობის პროდუქცია	წარმოებულია 1986 წ. I ნახევარში	1986 წ. I ნახევარი 1985 წ. I ნახევართან შედარებით
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) მილიონი ტონა	5,6	108
ძეხვეული, მილიონი ტონა	1,7	104
სასურსათო თევზეული, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი ტონა	2,8	103
ერბო-კარაქი, ათასი ტონა	766	106
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, მილიონი ტონა	15,6	105
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	774	104
მცენარეული ზეთი, მილიონი ტონა	1,5	115
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	2,3	105
კონსერვი, მილიარდი პირობითი ქილა	5,9	106
მათ შორის ხილბოსტნეულისა	3,4	112
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	73,3	115
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	265	141

მიმდინარეობს ლქიორ-არყისა და ღვინის მრეწველობის პროდუქციის წარმოების შემდგომი შემცირება, რომლის გამოშვება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შემცირდა 35 პროცენტით.

ხორცისა და ერბო-კარაქის წარმოების გეგმა ვერ შეასრულა ესტონეთის სს რესპუბლიკამ, მცენარეული ზეთისა — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკამ.

მტკიცდება აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სოფლის მეურნეობისათვის ძირითად სახეობათა ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და ქიმიური საკვები დანამატების მიწოდების გეგმა შესრულდა.

მიწოდებულია 195 ათასი ტრაქტორი, 59 ათასი მარცვალასაღები, 4 ათასი კარტოფილასაღები, 21 ათასი სილოსასაღები და საკვებასაღები კომბაინი, 36 ათასი სამწკრივე სამკელი, 3 ათასი ჭარხალასაღები და 5 ათასი ბამბის საკრეფი მანქანა, 45 ათასი ტრაქტორის სათიბელა, 19 ათასი წნეხ-ამკრები, 3 ათასი თვითმავალი სათიბელა-სატლეკელა, 5 ათასი მარცვალსაწმენდი მანქანა, ათასი მისაბმელებზე საკვების დამნაწილებელ-შემრევი. გაიზარდა კვების დარგების საწარმოებისათვის ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდება.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 13,2 მილიონი ტონა მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ანუ 0,8 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ქიმიური საკვები დანამატები — 512 ათასი ტონა, ანუ 71 ათასი ტონით მეტი.

სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების უზრუნველმყოფი დარგების განვითარების **კაპიტალურმა დაბანდებებმა** 24,7 მილიარდი მანეთი შეადგინა.

აშენდა მეცხოველეობის სადგომები, მექანიზებული ფერმები, კომპლექსები 0,8 მილიონი სული პირუტყვის, 1,1 მილიონი ფრთა ფრინველის შესანახად, მეფრინველეობის ფაბრიკები — წელიწადში 12,5 მილიონი ფრთა ფრინველისათვის, 4,2 მილიონი კუბური მეტრი ტეკვადობის სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია 440 ათასი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწები. სამელიორაციო მშენებლობას მოხმარდა 4 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდებანი.

ამოქმედდა ხორცის, ყველის, მოუხდელი რძის პროდუქციის, ფხვნილი შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, ხილბოსტნეულის კონსერვების, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა-მოწყობილობის, მინერალური სასუქებისა და საკვები დანამატების საწარმოო სიმძლავრენი, ელევატორები, წისქვილები და კომბინირებული საკვების საწარმოები, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით ციმბირისა და აღმოსავლეთ სს რესპუბლიკის რაიონებში ვერ შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ცალკეული პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა, არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ბალახის დროული აღების, დამზადებული საკვების ხარისხის გაუმჯობესების, ტექნიკის შენახვისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მისი მომზადების მიზნით. ბევრ მეურნეობაში დაუშვეს ჩამორჩენა საკვების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავების ამოქმედების მხრივ. ყოველთვის ეფექტიანად არ იყენებდნენ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს, ურიგდებოდნენ მინერალური სასუქების დახაკრგებს შენახვის, გადაზიდვისა და მინდვრებში შეტანის დროს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგებს — მოსავლის აღების დროს. გადამუშავებელი დარგების ცალკეული საწარმოო გაერთიანებები და საწარმოები უშვებდნენ დაბალი ხარისხის პროდუქციას.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

პირველ ნახევარწლეულში გაუმჯობესდა ტრანსპორტის მუშაობა. ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვასა და მგზავრთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვა და ტვირთბრუნვა	შესრულდა 1986 წ. პირველ ნახევარში	1986 წ. I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წ. I ნახევარი პროც. 1985 წ. I ნახევართან შედარებით
ტვირთზიდვა, მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	2026,1	103	106
საზღვაო ტრანსპორტი	121,9	108	108
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	257,5	106	109
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	3255,4	103	107
ნავთობსადენები-ნავთობპროდუქტსადენები	320,8	99,8	102
მგზავრთბრუნვა, მილიარდი მგზავრ-კილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	176,8	104	105
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	225,1	102	104
საჰაერო ტრანსპორტი	84,9	102	104

რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთზიდვისა და ყველა ძირითადი ტვირთის საერთო მოცულობის ნახევარი წლის გეგმა. 1985 წლის I ნახევართან შედარებით გაუმჯობესდა მოძრავი შემადგენლობის გამოყენების მაჩვენებლები: ვაგონის ბრუნვა დაჩქარდა 8 პროცენტით, სატვირთო ვაგონის საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობა გაიზარდა 10 პროცენტით, ლოკომოტივისა — 5 პროცენტით, შემცირდა ვაგონების დგომა ტექნიკურ სადგურებში და დატვირთვის ოპერაციების დროს, თითქმის 70 ტონით გაიზარდა სატვირთო მატარებლის საშუალო წონა. რამდენადმე გაუმჯობესდა მატარებლების მოძრაობის გრაფიკის შესრულება.

გადაჭარბებით შესრულდა ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების გეგმა; ტვირთზიდვის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის მეშვეობით.

ბელორუსიის რკინიგზაზე, რომელიც მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მნიშვნელოვანი დაჩქარების ეკონომიკური ექსპერიმენტის პირობებში მუშაობს, ტვირთის გაგზავნის გეგმა პირველ ნახევარწლეულში შესრულდა 104 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 20 პროცენტით, საშუალო თვიური ხელფასი — 15 პროცენტით და ამავე დროს შემცირდა მუშაკთა რიცხვი 9 პროცენტით. ამჟამად ექსპერიმენტი კიდევ 10 რკინიგზაზე გავრცელდა.

მაგრამ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში არის ნაკლოვანებები. ვერ შესრულდა ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობის გეგმა. ზოგიერთ რკინიგზაზე გაუარესდა მოძრავი შემადგენლობის გამოყენება: შემცირდა ლოკომოტივის მწარმოებლობა გორკისა და იმიერბაიკალის რკინიგზებზე, გაიზარდა ვაგონის ბრუნვა შორეული აღმოსავლეთისა და გორკის რკინიგზებზე, შემცირდა სატვირთო მატარებლების მოძრაობის საშუალო საუბნო სიჩქარე შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის რკინიგზებზე. უზრუნველყოფილი არ არის გადასაზიდი ტვირთის სათანადო დაცვა-შენახვა, აგრეთვე სატვირთო ვაგონების დაცვა-შენახვა დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სამანევრო სამუშაოების დროს. ხდება ვაგონების მნიშვნელოვანი ზენორმატიული დგომა საწარმოთა მისასვლელ გზებზე.

საზღვაო ტრანსპორტზე გადაჭარბებით შესრულდა საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთზიდვის გეგმა, მისი მოცულობა 7 პროცენტით გაიზარდა. საზღვაო ნავსადგურებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა გეგმა შესრულდა 9 პროცენტის გადაჭარბებით, პირდაპირი ვარიანტით (გემი-ვაგონი, ვაგონი-გემი) გადამუშავდა ტვირთვის 35 პროცენტი.

სამდინარო ტრანსპორტმა გაანაღდა მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის დაკალებანი, ვერ შესრულდა ცალკეული ტვირთის გადაზიდვის გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტზე მგზავრთა გადაყვანის მოცულობა გადიდდა 4 პროცენტით. ამასთან ერთად შემცირდა ავტომობილის მწარმოებლობა, მსუბუქი ტაქსების ფასიანი გარბენა.

ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს სს რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების, ლატვიის სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს იმ ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა, რომლებიც 1986 წლის 1 იანვრიდან გადაყვანილი არიან მეურნეობრიობის ახალ პირობებზე, ტვირთზიდვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს.

ნავთობსადენმა და ნავთობპროდუქტსადენმა ტრანსპორტმა ვერ შეასრულა ნავთობის გადატუმბვის დავალება.

გაზის მრეწველობის სამინისტროს **გაზსადენებმა** შეასრულეს სასაქონლო გაზის მიწოდების გეგმა.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთა გადაყვანის, ტვირთზიდვის საერთო მოცულობისა და ავიაციის მიერ სახალხო მეურნეობის დარგების მომსახურების სამუშაოთა გეგმა. ნახევარწლეულში გადაყვანილია 50 მილიონზე მეტი კაცი.

ტრანსპორტზე ნელა აღმოიფხვრება მგზავრთა მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებები, ირღვევა მატარებლების, თვითმფრინავების, ავტობუსების მოძრაობის განრიგი.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს შემოსავლის გეგმა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 6 პროცენტით. ამავე დროს არის საფოსტო გზავნილებისა და პერიოდული გამოცემების დაგვიანებები მიტანის, საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების ხანგრძლივი ლოდინისა და შეკვეთების შეუსრულებლობის შემთხვევები.

V. კაპიტალური მშენებლობა

ძირითადი ფონდების ამოქმედებამ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შეადგინა 45 მილიარდი მანეთი.

პირველ ნახევარწლეულში შესრულდა ნედლეულის კატალიზური რიფორმირების, თუჯის, სინთეზური ამიაკის, კალცინირებული და კაუსტიკური სოდის წარმოების სიმძლავრეთა ამოქმედების, სართავი თითსტრების, საფეიქრო დაზგებისა და სხვა მოწყობილობის დადგმის გეგმა.

მწყობრში ჩადგა პირველი ტურბინა პერმის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში და მეორე — ნოვოანგარენის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, ახალი ტურბინები — მთელ რიგ სხვა ელექტროსადგურებში. ამოქმედდა ქვანახშირის მოპოვების დიდი სიმძლავრენი ეკიბასტუზის ქვანახშირის აუზის „აღმოსავლეთის“ ჭრილსა და კუზნეცკის ქვანახშირის აუზის „ტალდინსკის“ ჭრილში, აგრეთვე ჩერეპოვეცის მეტალურგიულ კომბინატში — თუჯის, ტომსკის ქიმიურ ქარხანაში — კარბამიდული ფისების, თათრეთის ასს რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანება „ნიჟნეკამსკსალტეში“ — საავტომობილო სალტეების წარმოების დიდი სიმძლავრენი. გაიზარდა სიმძლავრენი მანქანათმშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში. იამბურგ-ელეცის მაგისტრალურ გაზსადენზე (პირველი ხაზი) საექსპლოატაციოდ გადაეცა 1,9 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის მთელი რიგი უბნები.

ათვისებულია დაახლოებით 73 მილიარდი მანეთი სახელმწიფო **კაპიტალური დაბანდებანი,** ანუ 6,4 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

დაიწყო სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ქვეყნის საწარმოო აპარატის ტექნიკურ განახლებას უზრუნველყოფს. მანქანათმშენებლობის განვითარებაში კაპიტალური დაბანდებანი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 18 პროცენტით და შეადგინა 3,5 მილიარდი მანეთი.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ საიჯარო სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,9 პროცენტით. შემცირდა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ სამუშაოთა მოცულობის გეგმებს, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაგალებებს.

ცალკეული სამინისტროების მიხედვით გეგმის შესრულების, საიჯარო სამუშაოთა მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მონაცემები მოყვანილია ქვემოთ.

ცალკეული სამინისტროების მიხედვით	საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წ. I ნახევარი პროცენტობით 1985 წ. პირველ ნახევართან შედარებით: საიჯარო სამუშაოთა მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	101	108	104,9
სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრო	97	109	106,7
ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	108	113	102,0
შორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალის რაიონებში მშენებლობის სამინისტრო	95	111	104,9
სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო	100,7	108	106,5
სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო	103	107	105,7
სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო — სულ	106	107	104,0
მათ შორის ქვესაიჯარო ხელშეკრულებებით	109	108	
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო	96	109	104,6
სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	103	107	103,2

მშენებლობაში არის არსებითი ნაკლოვანებები. ობიექტების აგების ვადები ნორმატიულ ვადებს აღემატება. არ შესრულებულა ძირითადი ფონდებისა და მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა. სსრ კავშირის გაზის მრეწველობის, ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის, გზათა, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ვერ უზრუნველყვეს მნიშვნელოვანი რაოდენობის საწარმოო დანიშნულების დიდმნიშვნელოვანი ასამოქმედებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

კვლავ მნიშვნელოვანია ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვი. სამშენებლო სამინისტროებმა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თავი ვერ მოუყარეს ასამოქმედებელ ობიექტებზე, რაც მათი ამოქმედების გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა.

სამშენებლო ორგანიზაციათა დაახლოებით მესამედი ჯერ კიდევ ურგდება ხელფასის უპირატეს ზრდას შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით, ვერ ასრულებს გეგმას ფინანსური შედეგების მიხედვით.

არ აღმოფხვრილა პრაქტიკა, როცა ამზადებენ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ახალ საწარმოთა მშენებლობის პროექტებს, რომლებიც არ შეესაბამებიან თანამედროვე ტექნიკურ დონეს.

VI. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ეკონომიკის ზრდის საფუძველზე პირველ ნახევარწლეულში დაიწყო სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების იმ პროგრამის რეალიზაცია, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ მიიღო.

ხორციელდება შრომის პირობების, ხასიათისა და შინაარსის გაუმჯობესების, სახალხო მეურნეობაში ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომის გამოყენების შემცირების ღონისძიებანი.

გაიზარდა მოსახლეობის შემოსავალი. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 195 მანეთი 1985 წლის პირველი ნახევრის 189 მანეთის ნაცვლად. 4 პროცენტით გადიდდა კოლმეურნეთა [illegible] დაიწყო მრეწველობის, სსრ კავშირის [illegible] სამეცნიერო-კვლევითი, საკ[illegible] რი ორგანიზაციების, საწარმოებ[illegible] გზების მუშაკთა გადაყვანა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე. ხელფასი მოემატათ მრეწველობის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ოსტატებს. სატარიფო განაკვეთები გაუდიდდათ მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ პროფესიათა მუშებს. დაწესდა ანაზღაურება ნამსახურობისათვის და გადიდდა სართი ღამით მუშაობისათვის სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტყავისა და მარილის მრეწველობაში. გაიზარდა ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებაც.

აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 73 მილიარდ მანეთზე მეტი თანხის, ანუ 3 მილიარდი მანეთით მეტი მისაცემლები და შეღავათები, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. მისაცემლებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა თვეში 271 მანეთი შეადგინა.

გაიზარდა ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებისათვის სახელმწიფო ყოველთვიური დახმარების ოდენობა. განხორციელდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობისათვის განკუთვნილი მისაცემლების და შეღავათების გადიდების სხვა ღონისძიებანი.

მშრომელთა ანაბრები შემნახველ სალაროებში ნახევარწლეულში გაიზარდა 9,7 მილიარდი მანეთით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 161,6 მილიარდი მანეთი და 1985 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა შესადარი ფასებით, 10,4 მილიარდი მანეთით. მთლიანად ქვეყანაში შესრულდა საცალო საქონელბრუნვის გეგმა. გეგმა ვერ შეასრულეს ბელორუსიის, საქართველოს აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკების სავაჭრო ორგანიზაციებმა, რამდენადმე გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით და ბევრი სახეობის არასასურსათო საქონლით. ამასთან ერთად კვლავ მცირდებოდა ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაცია: პირველ ნახევ

ბუნება–სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ—იგი ჩვენშია, ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც“

16

ვაჟა-ფშაველა

ბაერთიანებული ერების ორგანიზაციის თაოსნობით გარემოს დაცვის მსოფლიო დღე წელს ყველა ქვეყანაში მშვიდობის სიმბოლური ხეების დარგვით აღინიშნა. ამ ცერემონიის ღრმა აზრი თითოეული ნათელი გონების ადამიანისათვის გასაგებია. იგი უპასუხებს ხალხთა გულისა და სულის გამოძახილს — ერთად დავიცვათ ჩვენი დედამიწა, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ბუნებას, ვამრავლოთ მშვიდობის და სიცოცხლის ძალები.

იგივე განწყობილება სუფევდა ახლახან გამართული რესპუბლიკური კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, მისი მეცნიერული საფუძვლები და პრაქტიკული გამოცდილება წარმოიჩინა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და მოხსენებებით, სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. მესხიშვილი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ჭალაგანიძე, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი გ. გიგაური, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამერკავკასიის განყოფილების თავმჯდომარე ვ. მეტრეველი, ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ბ. ყურაშვილი, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ფ. დუღაშვილი, „საკტყემეურნეობის“ საპროექტო ინსტიტუტის ამერკავკასიის ფილიალის დირექტორი ტ. წერეთელი, „საქაგრომრეწვის“ სახელმწიფო კომიტეტის მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი ი. შავლიაშვილი, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ქუთათელაძე, მეცნიერებათა დოქტორები ნ. ტარასაშვილი, თ. ურუშაძე, რ. ჩაგელიშვილი, გ. ხარაიშვილი, ნ. ხიდაშელი, სულ 30 სპეციალისტი.

წაკითხული მოხსენებების შინაარსს და მიღებულ რეკომენდაციებს დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ჟურნალში „საქართველოს ბუნება“ (1986, № 8), უფრო სრულად — ამ კონფერენციისადმი მიძღვნილ კრებულში.

ამჯერად გთავაზობთ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის წერილს, რომელიც დედაქალაქის შემოგარენისა და ფართო საზოგადოების თანამოქმედების ძირეულ საკითხებს ეხმიანება.

მოქალაქე ხარ, ხე დარგე!

დედაქალაქის გარშემო ტყის გაშენება საყოველთაო-სახალხო საქმეა!

„უფრო საგულისხმო შედეგისა და მტკიცე დასკვნის მოპოვება შეიძენა, როდესაც ერთიდაიგივე საკითხი სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით არის ხოლმე განხილული“ — გვასწავლის დიდი ივანე ჯავახიშვილი.

თბილისის მახლობლად, სოფელ წოდორეთში, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის საკტო დარბაზში, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთაც მთელი დღე მხოლოდ ერთადერთ საკითხს განიხილავდნენ.

ერთადერთს, ვამბობთ, თორემ კონფერენციის თემა იმ მასშტაბისა გახლავთ, საყოველთაო-სახალხო საზრუნავი რომ ჰქვია.

და ბუნებრივია, ოცდაათი მეცნიერის და სპეციალისტის გამოსვლამ დამსწრეთა გულ-გონებას იმდენი საინტერესო მოსაზრება, დაკვირვება თუ შთაბეჭდილება შესძინა, რომ აღელვებულნი და შთაგონებულნი მეორე-მესამე დღეს უკვე თბილისისა და რუსთავის შემოგარენს გულდასმით ეცნობოდნენ; ყველას ათჯერ მოსმენილის ერთხელ ნახვა და საკუთარი თვალით აზომა-აწონვა ეწადა.

და ნახეს, დაათვალიერეს ლისისა და შინდისის, ნადიკვრისა და ფონეტალის, თელეთისა თუ შავნაბადის სანახები; ქვემოთ კრწანისის ტყე-პარკი, ზემოთ თბილისის დენდროლოგიური პარკი, უფრო შორს ეროვნული პარკი, პარკი ახალგაზრდული და სხვა მწვანე ღირსშესანიშნაობანი, რომელნიც ოცი-ოცდაათი წლის წინათ არც არსებობდა.

ცნობილია, თუკი ადამიანი თავისი სხეულის კანის მესამედს დაკარგავს, ვთქვათ, სიდამწვრის გამო, მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, თავისი კან-ქერქის მესამედის დამკარგავი მცენარე „და ცხოველი უარეს დღეშია. რაღა მოხდება, თუკი დედაბუნება, დედამიწა თავისი მწვანე საფარის მესამედს დაკარგავს? ამის წარმოდგენაც კი შემზარავია. ერთი სიტყვით, ეს არ უნდა მოხდეს! კაცობრობის, ყოველი სულიერის, ცოცხალის აწმყო და მომავალი მწვანე საფარზე — ტყეებზეა დამოკიდებული. თუკი დაკარგავთ ტყეს — დაკარგავთ ჯანსაღ ჰაერს, რომლითაც ვსუნთქავთ, დაკარგავთ წყალს — წყურვილს რომ გვიკვნქს, დაკარგავთ მიწას, რომელიც ჩვენი მარჩენალია!

მეცხრამეტე საუკუნეში თბილისმა თავისი მწვანე საფარ-ზონის დიდი ნაწილი დაკარგა. ჩვენი დედაქალაქი, ვახუშტის მიხედვით — „ჰავითა მშუენი და მხიარული... გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლისა ხილითა და ყუავილთა სავსე... სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა“ — მარტო ერთი ზამთრისათვის ახლომახლო უდაბურ ტყეებში 350 ათას კუბურ მეტრ შეშას ჭრიდა, უფრო მეტიც, თბილისის გარშემო ტყით მდიდარ ადგილებში ათობით ქურა-ქარხანა მორებს ანახშირებდა, ფუთავდა და ქალაქს მუდამდღე 16 ტონას უგზავნიდა (!)... ასე გატიალდა, დაიწვა და დაიფერფლა გარეშე მტერს გადარჩენილი ტყიანეთი.

შედეგმაც არ დააყოვნა — თბილისს მასაზრდოებელი წყარონაკადულები დაშრა, ჰავა-ჰაერი გაფუქდა, ნადირ-ფრინველი გადაიკარგა, უტყეო ბორცვებს უდაბნოს ბალახი და ჯაგ-ეკალი მოედო, გავერანებულ სანახებში ქარაშოტი გაბატონდა, წვიმის ნიაღვრები ღვარცოფებად იქცნენ, ვარაზის, ვერის თუ ლეღვთა ხევებით ქალაქს დაეცნენ და მრავალგზის აღა-მაჰმად-ხანივით დაანგრიეს.

ქალაქს, ქვეყანას უნდა მოვლენოდა კაცი მართალი, მხსნელი და პირში მთქმელი, რომელიც ერის წყლულს თვისად მიიჩნევდა, იმ დროისათვის სრულიად უჩვეულოს, ასპეტიტყოდა და ხალხს გაუძღვებოდა. და გამოჩნდა კიდეც დიდი ილია და თქვა: „ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსობითი პური. უტყეოდ ჩვენებური გლეხკაცი ვერ დადგება ისე, როგორც უპუროდ“...

ერის წინამძღოლის მართალი სიტყვები მოწოდების შეძახილად გაისმა, მამულიშვილებმაც გულით აიტაცეს და საქმეს შეუდგნენ. 1891 წელს თბილისის შემოგარენში ტყის გაშენების პირველი სამუშაოები დაიწყო.

საგულისხმოა, თბილისის შემოგარენში ტყის გაშენების ერთ-ერთი მოთავე, მეტყევე ანდრია სვიმონის ძე გამრეკელი (1845-1897) მთაწმინდის პანთეონში დიდი ილიას სიახლოვეს განისვენებს, ხოლო მადლიერი შთამომავლობა ორივეს ამაგს და ღვაწლს თბილისის დაარსების ლეგენდის დარად წარმოთქვამს.

დედაქალაქის მწვანე სარტყელის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების წმიდათაწმიდა საქმეს ამჟამად თავდადებულ მამულიშვილთა შემდგომი მეოთხე-მეხუთე თაობა უძღვება.

და ახალ თაობას, ახლებურად მოაზროვნეს, მაგრამ დიდ წინაპართა მიერ დაწყებული დიდი საქმის ერთგულს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მე-19 საუკუნისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტიალი გორაკები გაატყიანოს, მწვანით შემოსოს, ნადირ-ფრინველი და თევზი ამრავლოს და ისე გადასცეს კარს მომდგარ ოცდამეერთე საუკუნეს.

ამის დასტურია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება, თბილისისა და რუსთავის შემოგარენის გამწვანებისა-გატყიანებას რომ გვავალებს; ამასვე მოგვიწოდებს სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული და დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

„განვაგრძოთ ქალაქებისა და დაბების მწვანე ზონების შექმნა და გავაუმჯობესოთ მათი კეთილმოწყობა, გავაფართოოთ ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ნაკრძალი ტყეებისა და სხვა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელი. გავაძლიეროთ მეცნარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვის, გამრავლებისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობა... ნაადგ გავაფართოოთ მავნებლებისა და დაავადებებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის დაცვის, ადამიანისა და ცხოველთა სამყაროსათვის უსაფრთხო მეთოდების გამოყენება“, — ნათქვამია ამ პროგრამაში.

დედაქალაქის შემოგარენის გამწვანება-გატყიანება საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა, ამ დიად თაოსნობაში არა მხოლოდ მეტყევე სპეციალისტების, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა თუ რაიონების მშრომელთა კოლექტივების, სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის თავდადებული და უანგარო ღვაწლი არის. ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე ასიათასობით გულშემატკივარი ორმოს ამოღების, ნერგების დარგვის, შემდეგ დარგულის მოვლა-პატრონობის და გარემოს გამშვენიერების მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებს.

მწვანე ზონის გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც დღითი დღე ხორცს ისხამს, მშრომელთა მასობრივი დასვენების სამსაზღვრიანი ადამიანის დამაკავშირებელი, კეცხოველ-გულისაშვილისეული მუხლი ამჟამად წესდებიდან ამოღებულია, ხოლო საზოგადოების წევრი ხე-მცენარის დარგვა-გახარების და მოვლა-პატრონობის ტრადიციული საქმისაგან განთავისუფლებული (?!).

მეორე: იგივე საზოგადოება გაზაფხულის ყამს, ადგილობრივი პირობების მიხედვით მარტსა თუ აპრილში გამწვანების ერთთვიურებს აწყობდა. ამ გზით 1948 წლიდან, საზოგადოების დაფუძნებიდან მოყოლებული საქართველოს მრავალი ხრიოკი გატყევდა და გამშვენიერდა.

სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში საზოგადოების გაზაფხულის ერთთვიურები ბევრგან დავიწყებას ეძლევა. ბუნების ქომაგთა მთელი ძალები ახლა გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი (5 ივნისი) მიძღვნილი ერთთვიურისაკენაა მიმართული. ხოლო ზაფხული, მოგეხსენებათ, ხე-მცენარეთა დარგვა-გახარების დრო არ არის. ივნისი წელიწადის დროთა კალენდრის მიხედვით ყველაზე დატვირთულია — მოწაფიდან პენსიონერამდის ყველას შრომა-გარჯის ცხარე დღეები აქვს, ამიტომ ივნისურ, უთვალავ, სადარბაზო ღონისძიებებს თუ ესწრება, ისევ და ისევ ბუნების დაცვის სამსაზღვრის მუშაკი, ჩამელიც წესით ბუნების წიაღში უნდა ტრიალებდეს...

ცხადია, თითოეულ სულ მოსახლეზე 1-2 ხე-მცენარის დარგვა-გახარების და გაზაფხულის ერთთვიურების ტრადიციათა მივიწყებას თბილისის, რუსთავის, და საერთოდ, რესპუბლიკის გარემოს გაჯანსაღების საქმისათვის ზიანი მოაქვს. ამიტომ, ვფიქრობთ, ტრადიცია უნდა აღდგეს!

და ბოლოს, **მესამე:** ალბათ დადგა დრო, ჩვენი საყვარელი დედაქალაქის, სხვა ქალაქების შემოგარენში გვქონდეს ეკოლოგიური, ანუ სასწავლო ბილიკები, და აგრეთვე, სამკურნალო მარშრუტები, ეგრეთ წოდებული ტრენაჟერები.

მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სანიმუშო მასალები და მრავალფეროვანი ფორმები უხვად შოგვეპოვება, მაძიებელი და შემოქმედი მრავალი გვყავს, ასე რომ, იმედია კარგი მთქმელი კარგ გამგონს იპოვის და ნაყოფსაც კარგს ვიხილავთ — ვინაიდან მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ნოვოსიბირსკის, პიატიგორსკის, პუშჩინოს და სხვა ქალაქების გამოცდილება მოწმობს, რომ ბუნების წიაღში (გონივრულად გაკვალულ ქვაფენილ ბილიკებში) ეკოლოგიური ცოდნა-გამოცდილების პირველწყაროებთან შეხვედრა დიდსა თუ მცირეში წარუშლელ კვალს ტოვებს: ამაღლებს განწყობილებას, ახალისებს გულ-გონებას, აკაჟებს სხეულს, ერთი სიტყვით, ქმნის ადამიანსა და ბუნების ჰარმონიას.

არდავიწყება კეთილ საქმეთა — ამ განწყობილებით წარმიმართა დედაქალაქის გარემოს გაჯანსაღებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ამ კეთილ საქმეთა ერთგულებს დასტურია ჩვენი მეტყევეების მეწინავე კოლექტივების საქმიანობა; საქართველოს კომკავშირელთა წვლილი კაკალნაყოფიანთა გამრავლების საქმეში; ასპინძელთა ღვაწლი დანგრეული მტკვრის-პირა ტერასების აღორძინებაში; ბიჭვინთელთა და ხულოელთა თაოსნობანი — შვილი გეყოლა, ხე დარგე! გეგეჭკორელთა, ბოგერეთა, ზნაურელთა, ლაგოდეხელთა, წყალტუბოელთა... სწრაფვა — გადაარჩინონ, დაიცვან, შეისწავლონ და ამრავლონ წითელ წიგნში შეტანილი სახეობანი; ყაზბეგელი ახალგაზრდების განაწესი, რომელმაც ხალხური დღესასწაული კვირაძლობა შიშველი მთაგორების გატყიანების მოძრაობად გადააქცია; წალენჯიხელ ბუნების ქომაგთა სურვილი — ყოველი კვარტალის ერთი დღე ყველამ გარემოს გამშვენიერებას მივუძღვნათ; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ახლახან გამოქვეყნებული მოწოდება — თითოეულმა მოსწავლემ დარგოს და გააახაროს 4-5 ხე-მცენარე...

და ბოლოს, მოძრაობა, ჩვენი წერილის თემას პირდაპირ რომ ეხმიანება — გაზეთ „თბილისის“ რედაქციისა (ჟურნალისტი არჩილ ციცქიშვილი) და ხაშურის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების თაოსნობით მრავალი რაიონი და ქალაქი 1974 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული საქართველოს დედაქალაქის ახალი ქუჩების გამწვანებას თუ თბილისი-რუსთავის მიმდებარე ხრიოკი ადგილების გამშვენიერებას ღვიძლ საქმედ მიიჩნევს — რჩეული ნერგებით დატვირთული და ბარ-ძალაყინებით შეიარაღებული მშრომელთა ლაშქარი სახელოვან მეტყევეთა მხარდამხარ იღვწის...

სწორედ ამგვარი ტრადიციების ერთგულება წარმოაჩენს დიდსა თუ მცირეს, სოფელს და ქალაქს, ერსა და ქვეყანას იმ სწორუპოვარ საერთაშორისო მოძრაობაში, მშვიდობის სიმბოლური ხეების დარგვა-გახარება რომ ჰქვია...

დე, მარად და ყველგან ხარობდეს და გვესმოდეს შრიალი ნატრის, მშვიდობის და სიცოცხლის ხეთა!

გვანჯი მანია.

სურათზე: თბილისის მწვანე სამოსელი.

თ. ფურცხვანიძის ფოტო.

ადამიანი გარემოს უფრთხილდება

◆ **ფერილები** ◆ **შენიშვნები** ◆ **წინადადებები**

რედაქციაში ყოველდღიურად შემოდის მრავალი წერილი, რომელთა ავტორები ჩვენი მთავარი კორესპონდენტები — მკითხველები გახლავთ.

ამ ბარათებში შეობლიური ბუნების დაცვის, მათ შორის, თბილისის, ჩვენი საყვარელი დედაქალაქის გარემოს დაცვა-გაჯანსაღების პრობლემებიც ჩანს. გთავაზობთ რამდენიმეს.

I.

პენსიონერი ლ. **ზარმიაშვილი** გვწერს, რომ „სახელოვანი რევოლუციონერის ჩოდრიშვილისა“ და ექიმ ხუდადოვის სახელებთან არის დაკავშირებული თბილისის ერთ-ერთი უბანი, რომლის მთავარი ქუჩა რკინიგზის მთავარი სახელოსნოს ჭიშკრიდან დაიწყო და ზვეთ და ზვეთ იზრდებოდა. აქ ჩოდრიშვილი მუშათა კრებებს აწყობდა, აქედან ხუდადოვმა ტყის და ხეივნის გაშენება დაიწყო...

სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე წელია მოსახლეობის ნაწილს ეს ადგილები მანქანების სათარეშოდ გაუხდია. მაღაზიების წინ ლუდის მოყვარულნი იკრიბებიან, იქვე იყიდება ნაყინი, მზესუმზირა, მწვანილი, ვისაც რა მოესურვება.

ამბობენ, ხეივანს ფასიანი მომგლელი ჰყავსო, მაგრამ იგი იქ არავის უნახავს. ის კი არა, მეეზოვეც არ ასუფთავებს ხეივანს — „ჩემს ტერიტორიაში არ შედის, ეგ გამწვანებამ უნდა დაასუფთაოსო“.

ხეივანი ნადგურდება, მომგლელი არ ჩანს“...

II.

„მინდა ამ წერილში ერთი კონკრეტული საკითხი დავსვა, — გვწერს გლდანის მისივის, მეხუთე მიკრორაიონის მცხოვრები, პატივცემული **ა. ტყებუჩავა.** — ჩვენი მასივის მესამე და მეხუთე მიკრორაიონების ახლო ვაკე ადგილებში აქვე მდებარე საწარმოდან ნაგვის და ნარჩენების შეტანა დაიწყეს, შემდეგ მათ მხარი აუბეს სხვებმა და ეს მშვენიერი სანახები სანაგვედ გადააქციეს... მტვრითა და უსიამოვნო სუნით ივსება საცხოვრებელი ბინები, ბავშვები ნაგავსა და სიბინძურეში დარბიან. ბინებიდან ნაგვის გროვის მეტი არაფერი ჩანს. მარტო იმის გაფიქრება, რომ მოელი ცხოვრება ამ სისაძაგლის გვერდით უნდა გაატარო, უკარგავს ადამიანს ყველაფრის ხალისს, აღიზიანებს, ნერვებს უშლის...

აი, ამას ჰქვია გარემოს ხელყოფა! მოსახლეობის, ბავშვების აბუჩად აგდება!

არადა, შესანიშნავ „დასვენების ზონად“, სპორტულ-გამჯანსაღებელ კომპლექსად შეიძლება მოეწყოს ეს ადგილები. და იქნება ძვირფასი სარეკრეაციო ათასობით ბავშვისათვის, რომლებიც სათამაშო-სასეირნო ადგილების სიმცირის გამო საცარბაზოვის, ანდა სანაგვე ბუნკერების წინ პატარ-პატარა ასფალტის მოედნებზე თამაშობენ. თუ ყინული დაიძრა და ამ ადგილის კეთილმოწყობა დაიწყო, საშვილიშვილო საქმე გაკეთდება, ჩვენს დედაქალაქს ერთი მოხრდილი ლაქა ჩამოსცილდება“...

III.

თბილისელი მეცნიერი-მუშაკი, **დ. პავლიაშვილი** ჩვენი გზებისა და გზის პირების გამშვენიერებას ესწრაფვის — „ყველა ჩვენგანს შეუნიშნავს, შემოუსვლელი კაკლის, ეგრეთ წოდებული წენგოიანი ნაყოფის ბარბაროსული კრეფის შედეგად როგორ ნადგურდება ხეივნები, თუნდაც თბილის-გორის გზატკეცილის დამაშვენი კაკლის ხეები. ეს საქმე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების სინამდვილეში შესანიშნავად არის მოგვარებული. ნაყოფს თვითნებურად მკრეფელი თუ დამზიანებელი ჯარიმდება. ხეივნს ჰყავს ზედამხედველი, მომვლელი. ეს ბარჯები ჩვენთანაცაა დაშვებული, მაგრამ“...

* * *

მკითხველმა ნახა, ამ გულისტკივილიანი წერილების უკან ენერგიული, დედაბუნების მოამაგე ადამიანები დგანან. არა მხოლოდ სიტყვას, საქმეს, თანადგომას გვთავაზობენ. და აქ უკვე, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ახლა მთავარია, მათი ნაფიქრ-ნაზრევი ყურად ვიღოთ ყველამ, ფანსაკუთრებით კი, ვისაც გარემოს დაცვა-გაჯანსაღების საქმის მოთავება გვავალია.

მილიონთა ხელოვნება

„პარტიას თავისი კულტურული პოლიტიკის მთავარ ამოცანად მიაჩნია უფართოესი გზა გაუხსნას ადამიანებს ნიჭის გამოსავლინებლად, გახადოს მათი ცხოვრება სულიერად მდიდარი, მრავალმხრივი“.

პარტიის XXVII ყრილობაზე წამოყენებული ამ ამოცანის პრაქტიკულ ხორცშესხმას ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში დაწყებულმა ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალმა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს ეძღვნება. მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა აამაღლოს ხალხური შემოქმედების იდეურ-მხატვრული დონე, გააძლიეროს მისი ზეგავლენა ადამიანების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობაზე.

საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განხილულს ფესტივალის მიმდინარეობა აფხაზეთში, ქალაქ რუსთავში, მარნეულის რაიონში, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სტადიონის საავტომობილო ქარხანაში, მოისმინეს ცნობა მის გამართვაში რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების — კომპოზიტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების მონაწილეობის, თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების სექციების შუშაობის შესახებ.

სხდომაზე დაისახა თვითმოქმედებაში მშრომელების, ახალგაზრდებისა და ბავშვების უფრო ფართოდ ჩაბმის, შრომითის კოლექტივებში, სასწავლებლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო და კლასგარეშე დაწესებულებებში ხალხური შემოქმედების ყველა სახეობისა და ჟანრის განვითარების გზები და შესაძლებლობანი.

ამასთან დაკავშირებით დაისახა ფესტივალის დაგეგმვა-ორგანიზაციის სრულყოფის, ცხოვრების ფხიზელი, ჯანმრთელი წესის დამკვიდრების ღონისძიებანი.

სხდომის შედეგებზე შეჯამა რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ. (**საინფორმი**).

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲞᲝᲚᲝ ᲐᲙᲝᲠᲓᲘ

მაუ ასე, სპორტის ისტორიაში პირველი კეთილი ნების ასპარეზობები დამთავრდა. უამრავი და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან სპორტსმენები, მოსკოვის სტუმრები და საორტული ჟურნალისტები თავიანთ ქვეყნებში. ცხადია, აქ, მოსკოვში გატარებულ დღეებს, განცდილსა და ნახახს ისინი უთუოდ ხშირად გაიხსენებენ. ეს ასპარეზობები ხომ საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში სრულიად ახალი, განსაკუთრებული და შთამბეჭდავი იყო. და ყველა, ვინც სასტუმრო „როსიაში“ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში კეთილი ნების ასპარეზობათა საზეიმო დახურვას ესწრებოდა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ახალგაზრდობის ამ ახალმა სპორტის ფორუმმა დიდი იმპულსი მიანიჭა ხალხთა დამეგობრებას, ურთიერთგაგების გაღრმავებას და, რაც მთავარია, მშვიდობისათვის ბრძოლის გააქტიურებას.

ვიდრე ამ რეპორტაჟს ბოლო წერტილს დავუსვამდეთ, გავეცნოთ ბოლო სტატისტიკის შედეგებს.

სსრ კავშირისა და აშშ-ის **შრეგბუთილ** ვაკთა გუნდების ფინალური შეხვედრა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. საბჭოთა ფრენბურთელებმა პირველ ორ პარტიაში დამარცხების შემდეგ იშვიათი შეუპოვრობა გამოიჩინეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. მესამე ადგილისათვის მატჩი იტალიელებმა ფრანგებს მოუგეს (3:1), მეხუთეისათვის — ბულგარელებმა სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს (3:2), პოლონელებმა კი ბრაზილიელები დაამარცხეს (3:1) და მეშვიდე ადგილზე გამოვიდნენ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲐᲜᲯᲘᲝ ქალებმა შეჯიბრების ბოლო დღეს ცალკეულ ვარჯიშებში გაითამაშეს მედლების კომპლექტები. ელენე შუშუნოვა უძლიერესი იყო ბჯენით ხტომაში (19, 863 ქულა), ორძელზე (19,95) და თავისუფალ ვარჯიშში (19,875). ვერა კოლესნიკოვამ ყველას აჯობა დვირზე ვარჯიშში (19,8).

ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲝᲗᲐ ასპარეზობაზე წონითი კატეგორიების მიხედვით ოქროს მედლებს დაეუფლნენ ნშნ: მუნჩაანი (სსრ კავშირი), ანტონი არტური ჯონსონი (აშშ), ალექსანდრე არტემიევი, მიხაკ კაზარიანი, ორზუბეკ ნაზაროვი, იგორ რუფენკოვი, ალექსანდრე ოსტროვსკი, ისაიელ აკოფკოხანი, რუსლან ტარამოვი, ნურმაგომედ შანავაზოვი, რამაზან სიბიევი და ვიაჩესლავ იაკოვლევი (ყველა სსრ კავშირი). რაც შეეხება თბილისელი ხვიჩა ხდრიანისა და ლენინგრადელი ალექსანდრე არტემიევის ფინალურ ორთაბრძოლას, პირველ რაუნდში თბილისელი მეტოქეზე აქტიური და აგრესიული იყო. მეორე რაუნდში ლენინგრადელი გაქტიურდა, ხდრიანმა კი შემხვედრი მოქმედების დროს არაერთი შეცდომა დაუშვა და მეტოქემ იგი ნოკდაუნში გაგზავნა. ხდრიანი მესამე რაუნდშიც რისკით იბრძოდა, მაგრამ წარმატების სურვილი ამჯერად ოსტატობაზე უფრო დიდი იყო და, ცხადია, ასეთი გზით გამარჯვება თითქმის გამორიცხულია. ასეც მოხდა, არტემიევმა იგი კიდევ ერთხელ გაგზავნა ნოკდაუნში და ეს ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო და მაინც ამ შეჯიბრებაზე ხდრიანის გამოსვლა სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს. ამგვარად, თბილისელი ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ᲥᲐᲚᲚᲘᲜᲔᲑᲨᲘ ბოლო ორ წონითს კატეგორიაში გაითამაშეს სპრინტი ადგილები. 110 კგ-მდე წონაში უძლიერესი იყო იური ზახარევიჩი (ორჯიდში დაძლია 417,5 კგ), უმძიმეს წონაში კი ყველას აჯობა ლეონიდ ტატარენკომ (447,5 კგ).

ᲥᲘᲣᲓᲝᲙᲘᲜᲒᲘᲗᲐ ბოლო ოთხ წონითს კატეგორიაში ოქროს მედლებს დაეუფლნენ იგორ შკარინი (სსრ კავშირი. 71 კგ-მდე წონა), ალი ხამხოევი (სსრ კავშირი; 65 კგ), მიკიხირო მუკაი (იაპონია; 60 კგ) და ხაბილ ბიკოთაშვილი (სსრ კავშირი; აბსოლუტური წონითი კატეგორია).

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲜᲘᲰᲝᲜᲚᲝᲜᲗᲐᲨᲘ შეჯიბრება ფაქტობრივად ორ ქვეყნის — სსრ კავშირისა და აშშ-ს ეკიპაჟებს შორის გაიმართა. ამ მართლაც უჩვეულო მატჩში თითოეულ სახეობაში ორ-ორ ჯავს შორის უნდა გამოვლენილიყო გამარჯვეტული. გათამაშებული 11 ოქროს მედლიდან საბჭოთა სპორტსმენებმა 9 მოიპოვეს, ამერიკელებმა — 2. აქედან სსრ კავშირის სპორტსმენმა ქალებმა — 5 ოქროს მედალი, ვაჟებმა — 4, აშშ-ს სპორტსმენთაგან კი შესაბამისად თითო ოქროს მედალი.

ასპარეზობათა მთავარ პრესცენტრში ბოლო ორი პრესკონფერენცია გაიმართა. პირველში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარემ მარატ გრამოვმა, ტელეკომპანია თი-ბი-ესის პრეზიდენტმა ტედ ტერნერმა და ვიცე-პრეზიდენტმა რ. ვუსლერმა. მეორე პრესკონფერენცია კი გამართეს ქალაქ სიეტლის — 1990 წლის კეთილი ნების ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა. მარატ გრამოვმა აღნიშნა, რომ ასპარეზობების წინაშე დასახული მთავარი ამოცანა წარმატებით განხორციელდა. საერთო და ერთსულოვანი აზრით, ამ სპორტულმა ზეიმმა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებს შესაძლებლობა მისცა ერთმანეთს დაახლოებოდნენ, გაეცარწყლებინათ ან შეენელებინათ ეჭვი და დაძაბულობა ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. ტედ ტერნერის აზრით, ეს ასპარეზობანი მართლაც ბრწყინვალე იყო. მან დასძინა, რომ ამერიკელი . სპორტსმენები თავად დარწმუნდნენ მოსკოველთა გულწრფელობასა და კეთილმოსურნეობაში, — დიდი მადლობა გულღია და უზომოდ გულთბილი მასპინძლობისათვის. — ერთ-ერთ შეკითხვაზე ტერნერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თუკი თი-ბი-ესის ტელეკომპანიამ რაიმე ფინანსური ზარალი ნახა, იგი ზღვაში წვეთია და 300 მილიარდ დოლართან შედარებით, რომელსაც ჩემი ქვეყანა გამალებული შეიარაღებისათვის ხარჯავს. ბოლოს და ბოლოს, ეს ზარალი მაინც მოგებად გადაიქცევა და ქვეყნების ხალხებს შორის უთუოდ კეთილი ნების დამყარებით გამოიხატება“.

სიეტლის 1990 წლის მეორე ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა დაწერილებით მოუთხრეს ჟურნალისტებს, თუ რა მუშაობა მიმდინარეობს მზადების მიზნით, როგორ, რომელ ბაზებზე ამერიკელები მათ გამართვას და რა პირობები ექნებათ ჟურნალისტებს კეთილნაყოფიერი მუშაობისათვის.

ჯ. ენუქიძე,

ტელეფონით, სპეციალური „კომუნისტის“ კორესპონდენტი.

სატურნირო ორბიტა

ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲣᲠᲗᲘ. კვირას მადრიდში გაიმართა კალათბურთელთა ევროპა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდებს შორის. დამაბუალი ორთაბრძოლა დამთავრდა აშშ-ს ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 87:85. ამრიგად, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული აშშ-ის ნაკრებმა მოიპოვა. სსრ კავშირის კალათბურთელები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ იუგოსლავ სპორტსმენებს, რომელთაც მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხეს ბრაზილიელები — 117:91.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘᲗ. გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდები ამჯერად შინ თამაშობდნენ. — თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა ვილნიუსის „ჟალგირისს“. მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 2:1, ხოლო ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ლენინგრადის „ზენიტი“ და კვლავ დამარცხდა ანგარიშით 1:4. სხვა მატჩების შედეგები ასეთია: ბაკოს „ნეფტჩი“-დონეცკის „შახტიორი“ — 3:3, ერევნის „არარატი“-ხარკოვის „მეტალისტი“ — 1:0, ალმა-ათის „აირთათი“-მ